პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 თებერვალი, კვირა, 1987 წ.
№ 22 (9433) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

**31 იანვარს** საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობამ განაგრძო მუშაობა.

კამათში მონაწილეობდნენ ლენტეხის რაიონის ჩიხარეშის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ნ. ს. ჯანხოთელი, თბილისის № 18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე გ. ა. შარაბიძე.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ყრილობამ საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საქმიანობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნო.

ერთხმად დამტკიცდა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო.

აირჩიეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი, აგრეთვე სსრ კავშირის პროფკავშირთა ყრილობის დელეგატები.

ამით საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და ასრულებენ პარტიულ ჰიმნ „ინტერნაციონალს".

(საქინფორმი).

## საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

**31 იანვარს** გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია **ვ. მ. ხირაძე.**

რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივნებად არჩეული არიან **ზ. ა. კვაჭაძე, ლ. ხ. ხარბედია, ტ. ვ. როსტიაშვილი, გ. ს. შულაროვი, რ. გ. ურჯუმელაშვილი.** პროფსაბჭოს მდივნად საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეულია „თბილისქალაქმშენის" № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადის ბრიგადირი **ა. დ. დიხტიარი.**

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრებად პლენუმმა აირჩია **რ. ლ. ბუგიანიშვილი, უ. გ. გოგილიძე, ა. დ. დიხტიარი, ზ. ა. კვაჭაძე, მ. კ. კობახიძე, გ. ო. კუპატაძე, გ. ნ. კურტანიძე, ნ. ა. ლაკია, ტ. ვ. როსტიაშვილი, ზ. გ. ხარალიძე, ვ. მ. ხირაძე, რ. გ. ურჯუმელაშვილი, ნ. ბ. შარაშენიძე, გ. ს. შულაროვი, გ. დ. ჭაჭია, მ. ლ. ხარატიშვილი, ლ. ხ. ხარბედია.**

პლენუმზე აირჩიეს საქართველოს პროფსაბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობანი და დაამტკიცეს მათი თავმჯდომარეები.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს პროფსაბჭოს განყოფილებათა გამგეები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, გ. გ. გუმბარიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. ხაჯაია,** საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი **ვ. მ. მიშინი.**

* * *

საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომაზე მის თავმჯდომარედ აირჩიეს **ა. კ. ერგემლიძე.**

(საქინფორმი).

## მოახლოვდა დიდი კალათბურთის დღეები



### ბილეთები გაიყიდება სალაროებში

**კალათბურთში** სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ქართული — თბილისის ტურის მატჩები, როგორც ცნობილია, დედაქალაქის სპორტის სასახლეში 3 თებერვალს დაიწყება და 8 თებერვალს დამთავრდება. გუშინ და გუშინწინ რედაქციაში გვირეკავდნენ კალათბურთის გულშემატკივრები არა მარტო თბილისიდან, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან და გვეკითხებოდნენ, გაიყიდება თუ არა ბილეთები კოლექტიური დასწრებისათვის.

აი, რა გვითხრა თბილისის სპორტის სასახლის დირექტორმა გიორგი შერაშიძემ: მატჩებზე დასწრების მსურველთა კოლექტიურ განცხადებებს სპორტის სასახლის დირექცია არ ღებულობს; გადავწყვიტეთ ბილეთები თავისუფლად გავყიდოთ, როგორც წესია. 2 თებერვალს 14 საათიდან სალაროებში იქნება პირველი დღის, ე. ი. 3 თებერვლის მატჩების ბილეთების ნაწილი. მთლიანად კი პირველი დღის ბილეთები 3 თებერვალს 14 საათიდან გაიყიდება. 4 და 5 თებერვალს ასევე 14 საათიდან გულშემატკივრები შეიძენენ მხოლოდ იმ დღის მატჩების ბილეთებს. 7 და 8 თებერვალს სალაროები ღია იქნება დილის 10 საათიდან და გაიყიდება მხოლოდ იმ დღის ბილეთები.

ბავშვებისთვის განკუთვნილი ბილეთებით თამაშებზე მოზრდილები არ დაიშვებიან.

## თბილისის ტურის კალენდარი

**3 თებერვალი**
16.30 „ჟალგირისი" (კაუნასი) — ვეფ (რიგა)
18.15 ცსკა — „სპარტაკი" (ლენინგრადი)
**20.00 „დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი)**

**4 თებერვალი**
16.30 ცსკა — ვეფ
18.15 „სპარტაკი" — „შახტიორი"
**20.00 „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი"**

**5 თებერვალი**
16.30 ცსკა — „შახტიორი"
18.15 „სპარტაკი" — „ჟალგირისი"
**20.00 „დინამო" (თბილისი) — ვეფ**

**6 თებერვალი — დასვენების დღე**

**7 თებერვალი**
16.00 ცსკა — „ჟალგირისი"
17.45 „შახტიორი" — ვეფ
**19.30 „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი"**

**8 თებერვალი**
12.00 „შახტიორი" — „ჟალგირისი"
17.45 ვეფ — „სპარტაკი"
**19.30 „დინამო" (თბილისი) — ცსკა**

თბილისის ტურის დამთავრების შემდეგ ფინალური ჯგუფის მონაწილენი კიდევ ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს — შინ და მეტოქის მოედანზე. თბილისის დინამოელთა შეხვედრის განრიგი ამ ეტაპზე ასეთია:

**11 თებერვალი.** „დინამო" — „შახტიორი"
**17 თებერვალი.** ვეფ — „დინამო"
**20 თებერვალი.** ცსკა — „დინამო"
**22 თებერვალი.** „ჟალგირისი" — „დინამო"
**26 თებერვალი.** „დინამო" — „სპარტაკი"
**3 მარტი.** „დინამო" — ცსკა
**4 მარტი.** „დინამო" — ვეფ
**8 მარტი.** „შახტიორი" — „დინამო"
**15 მარტი.** „დინამო" — „ჟალგირისი"
**18 მარტი.** „სპარტაკი" — „დინამო"

### საბჭოთა კავშირის პირველობა ქალთა შორის

## სპი-მ კვლავ გაიმარჯვა

**კალათბურთელ** ქალთა პირველი ლიგის საკავშირო პირველობის დასკვნითი — მეექვსე ტურის მეორე დღეს სპი-ს კოლექტივის მეტოქე იყო ლენინგრადის „ვოლნა". შეხვედრის პირველსავე წუთებიდან უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ — 12:5. შესვენებაზე გუნდები რომ წავიდნენ ანგარიში კვლავ მათ სასარგებლოდ იყო — 38:29. მეორე ტაიმში სტუმართა თამაშში გარდატეხის შეტანის ყველა ცდა უშედეგო აღმოჩნდა — ქართველი სტუდენტები კვლავ ძლიერად უტევდნენ მოწინააღმდეგის ფარს და დამსახურებულად გაიმარჯვეს — 71:59. მათ ყველაზე მეტი ქულა კაპიტანმა ნატო ლორიამ შესძინა — 18, 13 — ოლღა კორკოტაძემ, 12-12 მედეა მხეიძემ და მარინა ნარვიძოვამ.

დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა ფრუნზეს „სტროიტელისა" და ლენინგრადის „ბურევესტნიკის" ორთაბრძოლა. გაიმარჯვეს ნევისპირელმა სპორტსმენებმა — 75:71 (35:34), რომელთაც დიმიტრიევამ 45 ქულა მოუტანა.

**გუშინ** თბილისის სპი ლენინგრადის „ბურევესტნიკს" შეხვდა და კვლავ გაიმარჯვა — 82:79 (41:40).

**ფ. ლეონიძე.**

## სიახლეთა ესტაფეტა

● **ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, ჯანმრთელი ცხოვრების წესს უწევს პროპაგანდას მეცნიერების, სპორტისა და კულტურის დღეები, რომელსაც ლიტვის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი ატარებს რესპუბლიკაში. ამას წინათ პედაგოგებისა და სტუდენტების ჯგუფი ინსტიტუტის რექტორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, დოცენტ ს. სტონკუსის ხელმძღვანელობით რადვილიშკსკის რაიონს ესტუმრა.**

● **პანევეჟისი.** ქალაქის ბავშვთა პოლიკლინიკა მთელ საბჭოთა კავშირში მოწინავე გამოცდილების საკავშირო სკოლადაა მიჩნეული პროფილაქტიკური სამუშაოების დარგში. პოლიკლინიკის აუზში ყოველდღიურად სპეციალისტებისა და, რა თქმა უნდა, მშობლების მეთვალყურეობით 50 ბავშვი მეცადინეობს. აქ უკვე სამი ათასმა ბავშვმა ისწავლა ცურვა.

● **ვილნიუსი. „კალათბურთის მცოდნე კომპიუტერი" შექმნეს ინჟინრებმა ა. ბალეიშისმა და რ. კაზლაუსკასმა ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და კიბერნეტიკის ინსტიტუტთან არსებული კომპიუტერული ხელსაწყოების კვანძებისა და საპროგრამო ალჭურვილობის ექსპერიმენტულ ქარხანაში. კომპიუტერი დაეხმარება კალათბურთის მოყვარულებს. როდესაც სპორტსმენი ბურთს კალათში ჩააგდებს ან თამაშის წესს დაარღვევს, ტელევიზორის ეკრანზე ჩნდება წარწერა, რომელიც გვამცნობს კალათბურთელის გვარს, მოპოვებულ ქულათა და ჯარიმების რაოდენობას.**

### თბილისის XXVI საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

## გადამწყვეტი შეხვედრების წინ



ზურაბ ტატუაშვილისა და ო გენ ხუნის ორთაბრძოლა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**30 იანვარს, თბილისის ტურნირის პირველ დღეს, სპორტის სასახლის სარბიელზე 172 წყვილი გამოვიდა, ორ-ორი წრე განვლეს ათივე წონითი კატეგორიის წარმომადგენლებმა. სასტარტო შეხვედრებში გამოიკვეთა ლიდერთა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი — ის მოჭიდავეები, რომლებმაც ორ-ორი მეტოქე დაამარცხეს და ქვეჯგუფებში დაწინაურდნენ. თუმცა მთავარი ბრძოლები ჯერ წინ არის და დასკვნების გაკეთება ნაადრევია.**

როგორ გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები? პირველი დღის შედეგები დამაიმედებელია: საქართველოს ნაკრების ხუთმა წევრმა ორივე წრე დაუმარცხებლად განვლო.. წარმატებით აიღო სტარტი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ეგია მუსოიანმა (57 კგ). სოხუმელი ფალავანი ქვეყნის მთავარ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვის. ამ მიზნის განხორციელებაში მას ბევრად შეუწყობს ხელს თბილისის ტურნირში ნაჩვენები შედეგი. პირველ წრეში, როგორც გაუწყეთ, მუსოიანმა აშშ-ის ორგზის ჩემპიონი ერბ მაიკი დაამარცხა. ამ შეხვედრაში მუსოიანის უპირატესობა აშკარა იყო. მან პირველივე წუთებში 7 ქულა აართვა მეტოქეს, პერიოდის მიწურულს კი პარტერში „დაიჭირა" და წმინდად გაიმარჯვა. მეორე წრეში მუსოიანის პირისპირ დადგა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ბაგაუდინ მამაევი. ამ ორთაბრძოლას, ცხადია, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენმა მოჭიდავემ ოთხქულიანი უპირატესობით მოიგო

იხ. მე-2 გვ.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კურსით**

# საბოლოო შედეგზე გამიზვნით

**გარდაქმნისა** და დაჩქარების კურსის სისწორე და აუცილებლობა კიდევ ერთხელ დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა. პლენუმმა მუშაობის გარდაქმნისა და შემდგომში მისი ახლებურად წარმართვის კონკრეტული გზები დაგვისახა. სასიკეთო ცვლილებები ხდება რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაშიც, რაც არ შეიძლება არახარებდეს ჩვენს საზოგადოებრიობას. 29 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში გამართულმა დიდმა ზეიმმა დააგვირგვინა 1986 წლის რესპუბლიკის სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა გაწეული შრომა.

გუშინ „უჩიტელსკაია გაზეტამ" გამოაქვეყნა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდება". ამ დღეებში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები როგორღაც უკავშირდება კიდეც ერთმანეთს. პარტია გარდაქმნისაკენ მოგვიწოდებს, გარდაქმნას კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა სწავლა-აღზრდის საქმეში ენიჭება — ახლებური აზროვნების, ახლებურად ცხოვრების უნარი სკოლაში უნდა შეიძინონ ყმაწვილებმა. ასე რომ, აღმზრდელ-მასწავლებლების წინაშე დღეს მეტად საპატიო ამოცანა დგას.

ჩვენს მუშაობაში აღებული დაჩქარების კურსი მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაშიც ერთგვარი შემობრუნების შესაძლებლობებს იძლევა. რესპუბლიკაში უკვე შემუშავდა და იხვეწება ბავშვთა სპორტის სისტემა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ უკლებლივ ყველა მოზარდი ჩავაბათ ფიზკულტურულ და სპორტულ მოძრაობაში, გარდაქმნის საბოლოო შედეგებს მე ამ ამოცანის პრაქტიკულად გადაჭრაში ვხედავ.

**გიორგი მერკვილაძე,**
**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

# გუშინდელი ფოსტიდან

**მკითხველი გვთხოვს, შენიშნავს, აზრს გვიზიარებს:**

● ქარელი არ მარაგდება სპორტლოტოს ბილეთებით. ბილეთების შესაძენად სხვა ქალაქებში დავდივართ.

**ვაჟა ხუციშვილი.**

● ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის ახალგაზრდები გწერდით, რომ ფეხბურთის მოედანი გადაგვიხნეს. თქვენ გამოგვექომაგეთ, მაგრამ დრო გადის მდგომარეობა კი არ შეცვლილა.

**სოფ. ოდიშის ახალგაზრდობა.**

● გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები გთხოვთ ფეხბურთის სპეციალისტებს, მოგვაკითხონ, დაგვარიგონ, იქნებ რომელიმე სამუშაოდაც დარჩეს ჩვენთან...

**გ. შუბაშვილი, გ. შინჯიკაშვილი და სხვ.**

● გთხოვთ გადასცეთ მიხეილ მესხს (უფროსს), დაწეროს მოგონებები.

**ჯემალ ზარანდია,**
ბათუმი.

**სპორტის დღესასწაულის ექო**

**დიდი სპორტული ზეიმი, რომელიც 29 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა, დიდხანს შემორჩება მეხსიერებას. დღეს ჩვენს მკითხველებს კვლავ ვთავაზობთ რამდენიმე შთაბეჭდილებას.**

# ვიცით, ზრუნვას რით შევასხნოთ



სპორტსმენებს ზეიმებში მონაწილეობა არ გვაკლია, დაჯილდოების ცერემონიალებსაც შევეჩვიეთ, მაგრამ ეს საღამო მაინც სულ სხვა იყო. თუ რატომ, მიჭირს სიტყვებით ავხსნა, მეც და ყველა ჩემი მეგობარიც, ვის პატივსაცემადაც ეს ზეიმი გაიმართა, უსაზღვროდ გახარებული ვიყავით. ამ ატმოსფეროს სითბომ მაინც სულ სხვა შთაბეჭდილება დატოვა.

თითოეულმა ჩვენგანმა იგრძნო, რომ ჩვენით ასეთი დიდი დაინტერესება მეტს გვავალებს. მადლობა პარტიას და მთავრობას, რომ სპორტი და სპორტსმენები ასეთი ყურადღებით ვართ გარემოსილნი.

**ალექსანდრე ლებედევი,**
**სსრ კავშირის IX სპარტაკიადის ჩემპიონი, ტანმოვარჯიშე.**

# შრომის ასეთი დაფასება არ მახსოვს



**სპორტს** ჩვენთან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვის შედეგად იმთავითვე საბჭოთა სპორტსმენებმა აღიარება მოიპოვეს მთელ მსოფლიოში. მათ შორის ბევრია საქართველოს წარმომადგენელი. მე დიდი ხანია ვმუშაობ სპორტში და ჩვენი შრომის ასეთი დაფასება ჯერ არ მახსოვს. 29 იანვარს გამართული ზეიმი არასდროს დაგვავიწყდება, ცხადია, ვისურვებდი, იგი ტრადიციად იქცეს. გულშემატკივარი მხოლოდ სპორტულ შეჯიბრებებზე არ უნდა ადევნებდეს თვალყურს სპორტსმენს. თანაც რა სჯობს, როცა ერთად შეკრებილს ხედავ არა ერთი კონკრეტული სახეობის წარმომადგენლებს, არამედ რესპუბლიკის ყველა სახეობის ლიდერებს. ეს იყო ზეიმი, რომლითაც, დარწმუნებული ვარ, ყველა კმაყოფილი დარჩა.

**იური გუტიაკულოვი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

# მომავალში გავითვალისწინოთ



**ვადევნებდი** თვალყურს ამ ჩინებულ ზეიმს და ერთგვარ სინანულსაც კი განვიცდიდი. რატომ? არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ მსაჯები არავის გახსენებია. ჩვენც ხომ სპორტული მოძრაობის წარმომადგენლები ვართ. ეს მომავალში გასათვალისწინებლად ვთქვი. ისე კი ნამდვილად ყველამ გულით გავიხარეთ, გასული წლის რესპუბლიკის სპორტული შედეგების საჯარო შეფასებისათვის.

მჯერა, ამიერიდან ყველა მეტი მონდომებით იშრომებს ქართული სპორტის საკეთილდღეოდ.

**მურმან ქურიძე,**
**საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კალათბურთში.**

**თბილისის XXVI საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში**

# გადამწყვეტი შეხვედრების წინ

დასასრული

ბრძოლა — 6:2. ახალგაზრდა თბილისელმა სპორტსმენმა გოჩა გაბოძემაც ორი შეხვედრა მოიგო — ერთი წმინდად, მეორე — აშკარა უპირატესობით. მის ქვეჯგუფში გამოდიან ევროპის ჩემპიონი ბორის ბუდაევი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვიქტორ კრეიდიჩი და ხაზრი მამაევი. გაბოძეს სწორედ მათთან ბრძოლაში მოუწევს კვარცხლბეკისკენ გზის გაკაფვა.

პირველი საშუალო წონა. აქ სამი ქართველი სპორტსმენი იბრძოდა — ავთანდილ გოგოლიშვილი, დავით ხურცია და ანზორ გოგრიჭიანი. თბილისის ტურნირის დებიუტანტებმა ხურციამ და გოგრიჭიანმა ვერაფერი გააწყვეს გამოცდილ მეტოქეებთან და ორი წაგების შემდეგ შეჯიბრებას გამოეთიშნენ, გოგოლიშვილმა კი ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა. მან პირველ წრეში დიდი უპირატესობით (14:6) მოუგო ფინელ პეკა რაუხალიას, შემდეგ კი 1 წუთსა და 36 წამში ბეჭებზე გააკრა საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმომადგენელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ანატოლი პონომარიოვი.

ძლიერი მოჭიდავეები შეიკრიბნენ ქვემძიმე წონაში. აქ ლერი ხაბელოვთან ერთად გამოდიან სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს 1983 წლის ჩემპიონი პიოტრ ნანიევი, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების ლაურეატები რობერტ თიბილოვი, კონსტანტინე ცომარტოვი და ალექსანდრე მუზიკაშვილი, მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ამერიკელი ბილ შერი (ხაბელოვის მთავარმა მეტოქემ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ასლან ხადარცევმა მძიმე წონაში გადაინაცვლა). სტარტზე ხაბელოვის მეტოქე იყო მოსკოველი ვლადიმერ ზახაროვი (ჩვენმა ფალავანმა ზახაროვი შარშან IX სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში დაამარცხა), შემდეგ — იგორ მიხალჩუკი. თბილისელმა სპორტსმენმა ორივე ბრძოლა ქულებით მოიგო. დაუმარცხებლად ასპარეზობენ ნანიევი, შერი, თიბილოვი და მუზიკაშვილიც. საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ამ წონაში კიდევ სამი ახალგაზრდა სპორტსმენი გამოიყვანეს — ზაზა ტყეშელაშვილი, კობა კუპატაძე და არსენ მაისურაძე. ტყეშელაშვილი პირველ წრეში შერთან დამარცხდა, მეორეში კი მან წმინდად მოუგო თურქეთის წარმომადგენელს რეშიტ კარაბაჯს. ძლიერი მეტოქეები შეხვდა კუპატაძეს. მას ჯერ ცომარტოვთან მოეცარა ხელი, მერე — ნანიევთან, თუმცა საგარეჯოელი ფალავანი მაინც ტაშით გააცილეს გულშემატკივრებმა. საქმე ის არის, რომ კუპატაძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ნანიევს და მხოლოდ ქულა წააგო — 5:6. მაისურაძე პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი მოლდაველ სერგეი პარვანთან დამარცხდა.

მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში 14 ფალავანი ჩაება. გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ დავით გობეჯიშვილი შეძლებს შარშანდელი წარმატების გამეორებას, მით უმეტეს, მან უკვე ჩამოიცილა ერთ-ერთი ძირითადი კონკურენტი — ორჯონიკიძელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვიქტორ ზანგიევი. ისინი მეორე წრეში დაწყვილდნენ (მანამდე გობეჯიშვილმა თანაგუნდელი გია გალდავა დაამარცხა, ზანგიევმა კი ევროპის ოთხგზის ჩემპიონთან, მახაჩკალელ მაჰომედ მაჰომედოვთან წააგო). გობეჯიშვილმა იოლად დაამარცხა მეტოქე — 3:0. მეორე ქვეჯგუფში ორი გამარჯვებით ლიდერობს ასლან ხადარცევი. პირველივე წრეში ხელი მოეცარა მსოფლიოსა და ევროპის შარშანდელი ჩემპიონატების პრიზიორს ანდრეას შრიოდერს (გდრ) — იგი მოსკოველ ნიკოლაი ივანოვთან დამარცხდა.



— რა თქმა უნდა, მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრება გაცილებით საინტერესო იქნებოდა, სარბიელზე ამერიკელი ბრუს ბაუმგარტნერიც რომ გამოსულიყო, — გვითხრა საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა, — ბაუმგარტნერი არც შარშან ჩამოსულა თბილისში, მაგრამ გასულ სპორტულ სეზონში მან ყველა დიდი შეჯიბრება მოიგო. როგორც ამერიკელმა კოლეგებმა მითხრეს, მას მზადების ინდივიდუალური გეგმა აქვს. სხვათა შორის, არც ჩვენ გამოგვიყვანია ნაკრების ყველა წევრი. მაგალითად, ტურნირიდან გავათავისუფლეთ მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონები სერგეი ბელოგლაზოვი, არსენ ფაძაევი, ვლადიმერ მოდოსიანი და მახარბეკ ხადარცევი. ეს მოჭიდავეები თავიანთ წონებში გამოკვეთილი ლიდერები არიან და საერთაშორისო შეჯიბრების დიდი გამოცდილება აქვთ. ერთი სიტყვით, გვინდა უფრო ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავეები გამოვცადოთ, ასეთები კი ჩვენს გუნდში მრავლად არიან. შარშანდელი სეზონი შეიძლება ითქვას, კარგად დავამთავრეთ: ევროპის ჩემპიონატზე ხუთი ოქროს მედალი მოვიპოვეთ, მსოფლიო ჩემპიონატზე — ექვსი, დავისაკუთრეთ მსოფლიო თასი, მაგრამ ნაკრებს მუდმივი განახლება სჭირდება, სხვანაირად სტაბილური შედეგები არ გვექნება. ჩვენ იმედით შევყურებთ თბილისის ტურნირს, ველით ახალი სახელების გამოჩენას.

გუშინ, მესამე წრეში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ეგია მუსოიანმა. ამჯერად მან საკავშირო ნაკრების წევრი სამაილ ხუნკეროვი დაამარცხა. ავთანდილ გოგოლიშვილი დიმიტრი ტოდოროვს შეხვდა. ქულებით გაიმარჯვა ქართველმა ფალავანმა. დაძაბულად წარიმართა დავით გობეჯიშვილისა და იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონის, მინსკელი ნიკოლაი ლატუშკინის ორთაბრძოლა. პირველი პერიოდი ბელორუსმა სპორტსმენმა მოიგო (1:0), მაგრამ შემდეგ უპირატესობას გობეჯიშვილი დაეუფლა და ბრძოლაც მისი გამარჯვებით დამთავრდა — 5:2. ზაზა თურმანიძემ ქულებით მოუგო მინსკელ ალექსეი მედვედს, ზაზა ტყეშელაშვილმა — უდო ადამს. არსენ მაისურაძემ წმინდად დაამარცხა მოსკოველი ვლადიმერ ზახაროვი. ლერი ხაბელოვი მესამე წრეში ისვენებდა. გოჩა გაბოძემ ქულებით წააგო ვიქტორ კრეიდიჩთან. ზედიზედ მეორე ბრძოლა მოიგო ზურაბ ტატუაშვილმა.

ეს შეხვედრები დღის პირველ ნახევარში გაიმართა, საღამოს კი კვლავ გაგრძელდა წინასწარი ორთაბრძოლები.

ავთანდილ გოგოლიშვილმა ქულებით დაამარცხა აბდუსამად გამიდოვი. ორი გამარჯვება მოიპოვა ლერი ხაბელოვმა — მან სერგეი პარვანსა და ალექსანდრე მუზიკაშვილს მოუგო. გობეჯიშვილმა დაამარცხა კონსტანტინ კოვალი. ზაზა თურმანიძემ ქულებით აჯობა ნიკოლაი ივანოვს, მეხუთე წრეში კი ასლან ხადარცევთან დამარცხდა.

**ელგუჯა სალხინოშვილი.**

# ჭადრაკმა ასაკი არ იცის

**სამტრედიაში** დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. I-IV ადგილებზე გასულნი I ლიგის საგზურებს ეუფლებიან. შეჯიბრებაში 66 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის ორი ქალია — ციალა ქასოშვილი (გორი) და სოფიკო ტერელაძე (სამტრედია). ტურნირი მიმდინარეობს შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად.

დღეისათვის ორი ტურია გათამაშებული. 2-2 ქულით დაწინაურდნენ ქასოშვილი, ტერელაძე, ანატოლი შტანკო (გარდაბანი), ვიტალი მიროშნიჩენკო (აფხაზეთი), ნიკოლოზ ლეკვეიშვილი, ბესო ლექავა, ვადიმ დუნდუა, ბორის ჩაბრაძე (ყველა — სამტრედია). აღსანიშნავია, რომ ჩაბრაძე ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა. იგი 12 წლისაა.

**ბეჟან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სამტრედიის საჭადრაკო სკოლის დირექტორი.**

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

**ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომი „ლელოს" 10 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის („ხელს უშლიდა"?!) პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღო ზომები ოქტომბრის ქუჩის № 39 სახლის ეზოში კალათბურთის მოედნის კეთილმოსაწყობად.**

**დღეს სპორტული მოედანი სრულ წესრიგშია. აღდგა დგარები და ფარები. რაისურსათვაჭრობის № 9 მაღაზიის ხელმძღვანელები (გამგე ნ. ქურციკიძე) გავაფრთხილეთ, რათა მსგავსი შემთხვევა მომავალში არ დაუშვან.**

**გ. ბოკუჩავა,**
**თბილისის ოქტომბრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.**

● ფეხბურთი

# ცვლილებები უმაღლეს ლიგაში

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა ფეხბურთელთა განცხადებები უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებში გადასვლის თაობაზე.

**ლანჩხუთის „გურიის“ შემადგენლობაში დაამტკიცეს ვ. ხლუხი, რომელიც ჯერ კიევის „დინამოში“, ხოლო შემდეგ ოდესის „ჩერნომორეცში“ თამაშობდა.**

ფედერაციის პრეზიდიუმის დადგენილებით ოდესის „ჩერნომორეციდან“ კიევის „დინამოში“ გადავიდა ო. მოროზოვი; გ. მოროზოვი („სპარტაკი“, მოსკოვი) და ი. სკლიაროვი (ასკ, დონის როსტოვი) — მოსკოვის „დინამოში“; ვ. კოლიადკო და ბ. მელიქიანი („დნეპრი“, დნეპროპეტროვსკი), ვ. შმაროვი („ფაკელი“, ვორონეჟი) და ვ. პასულკო („ჩერნომორეცი“, ოდესა) — მოსკოვის „სპარტაკში“; ვ. ბოდროვი („ლოკომოტივი“, მოსკოვი) — ალმა-ათის „ქაირათში“; ს. აგაშკოვი და ვ. გალაიბა (ასკ, დონის როსტოვი), აგრეთვე, ო. შირინბეკოვი („პამირი“, დუშანბე) — მოსკოვის „ტორპედოში“; ე. შახოვი („მეტალურგი“, ზაპოროჟიე) — დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“; ლ. ბურიაკი („ტორპედო“, მოსკოვი) და ა. მალიშენკო (ასკ „კარპატი“, ლვოვი) — ხარკოვის „მეტალისტში“; ა. გოსტენინი („ტორპედო“, მოსკოვი), ა. ბაგაპოვი („ჩერნომორეცი“, ოდესა) — ბაქოს „ნეფთჩიში“; ს. ვედენეევი („ზენიტი“, ლენინგრადი), ა. სპიცინი („ჩერნომორეცი“, ოდესა) და ვ. ჩანოვი („ნეფთჩი“, ბაქო) — ცსკა-ში.

ბაქოს „ნეფთჩის“ უფროს მწვრთნელად დაინიშნა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. სევიდოვი, რომელიც სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა მოსკოვის, კიევისა და მინსკის დინამოელებს, ალმა-ათის „ქაირათს“ და სხვა გუნდებს.

# ჯ. ნერუს მემორიალზე

**ინდოეთის** ქალაქებში მიმდინარე ჯ. ნერუს ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სირიის გუნდებს შორის მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. სირიელმა ფეხბურთელებმა, რომლებიც აუტსაიდერთა შორის იმყოფებიან, ანგარიშით 2:1 (1:1) დაამარცხეს ერთ-ერთი ლიდერი.

გამარჯვების მიუხედავად, ისინი მაინც ბოლო ადგილზე არიან; ჯგუფში, სადაც სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები და ნიგერიის გუნდიც გამოდის, ნახევარფინალში თამაშის უფლებას მიიღებს 2 გუნდი, გამარჯვებულები კი გამოვლინდებიან სსრ კავშირისა და ნიგერიის გუნდების მატჩში. სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს 3-3 ქულა აქვთ, ნიგერიელებს და სირიელებს — 2-2.

პარალელური ჯგუფიდან (ბულგარეთი, ჩინეთი, დანია, ინდოეთი) ცნობილია ნახევარფინალის ერთი მონაწილე — ბულგარეთის ნაკრები.

# მოსკოვის „დინამო“ აშშ-ში

მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები წარუმატებლად ატარებენ მინიფეხბურთის მატჩებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირველი წაგების შემდეგ დინამოელები ქ. უიჩიტოში (კანზასის შტატი) დამარცხდნენ ადგილობრივ „უინგზთან“ — 6:7, შემდეგ კი ქ. სენტ-ლუისში ადგილობრივ „სტიმერსთან“ —5:6. ყველა ეს შეხვედრა დახურულ დარბაზში გაიმართა.

## საკონტროლო მატჩები

**აფხაზეთში** ჩვენი გაზეთის საკუთარმა კორესპონდენტმა მ. მესხიამ გაგრიდან გვაცნობა: ლესელიძეში თბილისის „დინამომ“ საკონტროლო მატჩი ჩაატარა ხარკოვის „მეტალისტთან“. გაიმარჯვეს ხარკოველმა ფეხბურთელებმა — 1:0.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: გაბელია, კორღალიძე. ჟორდანია, ჰედია. მალანია, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე (ბარათაშვილი), ცაავა (ბიგვავა), მიქაშავიძე, რევიშვილი.

ამავე გუნდების მეორე შემადგენლობათა შეხვედრაში გამარჯვება წილად ხვდათ დინამოელებს — 4:2.

# ....ლანჩხუთის „გურიას“ სასარგებლოდ...“

**პირველი** ლიგის საკავშირო ჩემპიონატში მოასპარეზე ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდებმა შარშან მაყურებლები გაახარეს გონივრული და ლამაზი თამაშით. ერთ-ერთმა მათგანმა — ლანჩხუთის „გურიამ“ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებაც კი მოიპოვა. ვინც სტადიონზე მისვლას ვერ ახერხებდა, ხშირად ისმენდა კომენტატორების რეპორტაჟს: ანგარიშია 2:0 ლანჩხუთის „გურიას“ სასარგებლოდ... 3:0 ლანჩხუთის „გურიას“ სასარგებლოდ... ლანჩხუთის „გურიას“ სტადიონზე დამთავრდა მატჩი... და სხვ.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ „გურია“ არის ფუძეკვეცადი სიტყვა. იგი ნათესაობით ბრუნვაში (ისე როგორც მოქმედებითში) გამოყენებისას უნდა შეიკვეცოს: ლანჩხუთის „გურიის“ სასარგებლოდ... ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონზე... ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელები და ა. შ.

ამ და ამის მსგავს შეცდომებზე ჩვენ (და სხვასაც) წინათაც არაერთხელ გაგვიმახვილებია ყურადღება პრესაში. ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ თუ საზოგადო ან გეოგრაფიული სახელი გამოყენებულია საკუთარ სახელად (გაზეთების, სასტუმროების, კაფეების, კლუბების, გუნდების, კინოთეატრებისა და სხვათა სახელწოდებებად), ისინი ისევე უნდა ვაბრუნოთ, როგორც საზოგადო ან გეოგრაფიული სახელები, ე. ი. თუ ფუძეკვეცადია, ფუძე შევკვეცოთ, ხოლო თუ ფუძეკუმშვადია, შევკუმშოთ. მაშასადამე, სწორია: „გურიის“ ფეხბურთელები... „გურიის“ სტადიონზე... „მეშახტის“ ფეხბურთელები, სმოლენსკის „ისკრის“ ფეხბურთელები და ა. შ. ასევე — სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საბჭო... ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია, ჟურნალ „დროშის“ ახალი ნომერი, „მერნის“ ავტორი და სხვ. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება მოვიგონოთ, რომ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე ამ ფუნქციით გამოყენებულ გეოგრაფიულ სახელს „ივერიას“, რომელიც მის მიერვე დაარსებულ პერიოდულ გამოცემას ერქვა, ნათესაობით ბრუნვაში ყოველთვის კვეცდა და წერდა: „ივერიის“ ფურცლებზე...“; „ივერიის“ წარსულ ნომერში...“; „ივერიის“ მესამე წიგნი“... და ა. შ. ასეთია ქართული ენის გრამატიკის წესი და ილიაც ამას იცავდა. მას არც ერთხელ არ დაუწერია: „ივერიას“ ფურცლებზე“...

სასიამოვნოა, რომ ჩვენს პრესაში ამ ბოლო დროს ნაკლებად ან სულ არ გვხვდება ფუძეკვეცადი სახელების შეუკვეცავად გამოყენების შემთხვევები. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ წლევანდელი 22 იანვრის ნომერი, რომლის მეოთხე გვერდზე დაბეჭდილია ბესო ჰინჭარაულის წერილი „ლანჩხუთის მეცხრე „საოცრება“. მასში ფეხბურთელთა გუნდისა და სტადიონის სახელწოდება „გურია“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით შვიდჯერ არის გამოყენებული და შვიდჯერვე სწორად! აი, ეს მაგალითებიც: „გურიაში „გურიის“ წარმატება „მერვე საოცრებად“ მონათლეს“; „ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონის მშენებლობის დამთავრება“...; „გურიის“ უმაღლეს ლიგაში გადასვლისთანავე სტადიონის ახალი ხელმძღვანელობა დანიშნეს“; „გურიის“ პირველი თამაში საკუთარ... მოედანზე გაიმართა...“; „ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონზე ამჟამად მიმდინარეობს... სამუშაოები“; „გურიის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად... მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება“; „გურიის“ სპორტული კომპლექსის... რეკონსტრუქციის... ფუნქცია“...

ასე ჭწორი მეტყველება მისაბაძია არამარტო სპორტული კომენტატორებისათვის!..

რა გულსატკენია, რომ სულ ორი დღის შემდეგ ერთ-ერთი სხვა გაზეთის 24 იანვრის ნომრის მეოთხე გვერდზე ორჯერ შეგვხვდა შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ქართულისათვის შეუფერებელი ასეთი გამოთქმა: „ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელები“!

ფეხბურთის სეზონი კარს მოგვადგა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამიერიდან მაინც აღარ მოვისმენთ (და არც წავიკითხავთ) ასეთ მცდარ გამოთქმებს: „ლანჩხუთის „გურიას“ სტადიონზე“... ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელები“... „ლანჩხუთის „გურიას“ სასარგებლოდ“..

ფეხბურთის სიყვარულმა დედაენის პატივისცემა არ უნდა დაგვავიწყოს! ეს ყველა ქართველისთვის, მათ შორის ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელებისა და მათი თაყვანისმცემლებისთვისაც სასარგებლო იქნება.

**გიორგი შალამბერიძე.**

# „ეიზელის ექო“

თითქმის ორმა წელმა განვლო ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, როცა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის „იუვენტუსი“ და ინგლისის „ლივერპული“. მაგრამ ამ სისხლიანი ინციდენტის ძიება ჯერაც არ დამთავრებულა, მაყურებელთა შორის ტრიბუნებზე ამტყდარი ჩხუბის შემდეგ კი იმ დღეს 39 კაცი დაიღუპა და ასზე მეტი დასახიჩრდა.

ბელგიის იუსტიციის მინისტრმა ჟან გოლმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ სულ ახლახან დააპატიმრეს ბელგიის საფეხბურთო ასოციაციის გენერალური მდივანი ალბერტ როოსენსი, რომელსაც ბრალად ედება წინასწარ განუზრახველი მკვლელობა. იუსტიციის მინისტრი მიაჩნია, რომ ა. როოსენსი ერთ-ერთი დამნაშავეა მომხდარ ამბავში, ვინაიდან სწორედ მას ევალებოდა სტადიონზე წესრიგის დაცვა. ჟ. გოლმა ისიც აღნიშნა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ვალდებულია თვალი ადევნოს თუ რა წესით იყიდება ბილეთები სტადიონის ტრიბუნებზე. სამინისტროს მონაცემებით ბევრი ბილეთი გასაღდა შავ ბაზარზე, ის კი ერთ-ერთი მიზეზი იყო „ეიზელის“ ტრაგედიისა.

ა. როოსენსს, როგორც იტყობინებიან, პატიმრობა ელის.

# სახიფათო გადახრა

**უკანასკნელ** დროს, როცა ლაპარაკია იმ გარდაქმნებზე, ჩვენი ცხოვრების ყველა დარგს რომ ეხება, საგანგებო ყურადღება ეთმობა დიდ სპორტს, კერძოდ კითხვას, უნდა დაფუძნდეს თუ არა ჩვენს ფეხბურთში პროფესიონალიზმი. ეს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე, საჭირბოროტო პრობლემაა.

ამის შესახებ თავიანთ მოსაზრებებს პრესის ფურცლებზე, რადიოსა თუ ტელევიზიის საშუალებით გამოთქვამენ მწვრთნელები და გულშემატკივრები, მოთამაშეები და ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელები, მაგრამ ისინი ყურადღებას ამახვილებენ ორგანიზაციულ-ეკონომიკური გარდაქმნის აუცილებლობაზე, გუნდების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანაზე, სპეციფიკური სპორტული საწარმოების შექმნაზე. არაერთხელ გვსმენია იმაზეც, რომ დადგა დრო, ჩვენი ფეხბურთის ოსტატებს კარიერის დამთავრების შემდეგ, ისე, როგორც ცირკისა და ბალეტის მსახიობებს, დაენიშნოთ პენსია.

ალბათ, ყველაფერ ამისათვის შეიქმნა გარკვეული საფუძველი — „თამაშის წესებს“ ხომ დრო გვკარნახობს, მაგრამ საბოლოო პასუხის გაცემა ამ კითხვაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საფუძვლიანად, გულდასმით შევისწავლით ყველა საკითხს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად ფეხბურთის სპეციალისტებისა და მეცნიერთა დახმარებით შევძლებთ მივაგნოთ ოპტიმალურ ვარიანტს. მე კი მსურს შევეხო სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან, თანაც ძალზე სერიოზულ თემას, რომელიც ეტყობა, გადაავიწყდათ დამოუკიდებელი საფეხბურთო კლუბების შექმნის მსურველთ. ლაპარაკია თავისი საქმისადმი სპორტსმენის პროფესიულ დამოკიდებულებაზე, რაშიც ბევრ რამეს ვგულისხმობ — რეჟიმს, ვარჯიშს, თამაშს.

რამდენმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო ბოლომდე გაეხსნა საკუთარი თავი. მათ კომეტის მსგავსად გაიელვეს დიდი სპორტის კაბადონზე და სწრაფადვე ჩაქრნენ. მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიწევს. ტუნისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა გამარჯვება იზეიმა. მათ შორის, ვინც ოქროს მედლები მოიპოვა, იყო მცველი ვ. კაპლუნი. იგი კარგი ფიზიკური მონაცემებით და სათამაშო აზროვნებით გახლდათ დაჯილდოებული, ამიტომ არავის გაკვირვებია კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში რომ ჩარიცხეს. მალე ვ. კაპლუნი ჩვენი ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა შორის ვიხილეთ, მაგრამ თვით ფეხბურთელი, ეტყობა, არ იყო მზად თავისი ბედის ასეთი მკვეთრი შემობრუნებისათვის.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი ცნობილია არა მხოლოდ როგორც საფეხბურთო ექსპერტი, არამედ როგორც პედაგოგიც, რომელმაც სწორ გზაზე დააყენა არა ერთი და ორი ნიჭიერი მოთამაშე (გავიხსენოთ თუნდაც ა. ზავაროვის ისტორია, რომელიც ჩვენი ქვეყნის 1987 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა) და გამოამჟღავნა არა მარტო მკაცრი მომთხოვნელობა, არამედ უდიდესი მოთმინების უნარიც. მაგრამ ადრე თუ გვიან მოთმინების ძაფი ყველაზე თავდაჭერილ ადამიანსაც კი უწყდება. სწორედ ასე დაემართათ კიევის „დინამოს“ მწვრთნელებს ვ. კაპლუნთან დამოკიდებულებაში. ფეხბურთელი გუნდიდან გაირიცხა და... მალე ხარკოვის „მეტალისტში“ აღმოჩნდა. იქნებ მშობლიურ კლუბში გადაეხედა, თავისი, რბილად რომ ვთქვათ, ფუქსავატური შეხედულებებისთვის?

არა. ფეხბურთელი კვლავ დაბლა დაეშვა და ბოლოს იგი „მეტალისტიდანაც“ გარიცხეს. ალბათ, მწვრთნელებს ადრევე უნდა გამოეტანათ შესაბამისი დასკვნები და გზა გადაეღობათ ამ „ვაი-ოსტატისათვის“, რომელმაც დაკარგა ყველა თავისი ღირსება და მოიმატა... მხოლოდ წონაში.

გავოცდი, როცა მინდორზე კვლავ ვიხილე ვ. კაპლუნი, ამჯერად მეორე ლიგის გუნდის, კიევის არმიის სპორტული კლუბის შემადგენლობაში. საკითხავია, რა სარგებლობა შეეძლო მოეტანა მას ამ გუნდისათვის?

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები, რომლებიც დაკავშირებულია მოთამაშეთა ლოთობასთან, რეჟიმის დარღვევის შემთხვევები თამაშის წინ თუ მერე საკმარისად შეგვიძლია მოვიყვანოთ, მაგრამ ჩვენს ფეხბურთში არსებობს კიდევ ერთი საშიშროება: ეს არის მომხმარებლის, წამგლეჯის სულისკვეთება, რომელიც ზოგიერთ სპორტსმენს შეეყარა. მხედველობაში გვყავს ისინი, ვინც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მიიღოს ფეხბურთისაგან.

...რამდენიმე წლის წინ მოსკოვის „დინამოში“ შედგა რ. ატაულინის დებიუტი. გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა (ისევე როგორც გუნდის მწვრთნელებმა) მას კარგი ფეხბურთელის თვისებები აღმოუჩინეს: სისწრაფე, ენერგია, თავგანწირვა. ბევრს მიაჩნდა, რომ რ. ატაულინი წამყვანი მოთამაშე გახდებოდა ამ პოპულარული კლუბისა, რომელიც იმ ხანებში ვერ იყო კარგ ფორმაში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ახალგაზრდა ფეხბურთელი თანდათან თმობდა პოზიციებს, თამაშობდა იმდენად უფერულად, უხალისოდ, რომ მაყურებლებს მატჩის შემდეგ უჭირდათ კიდეც იმის გახსენება, საერთოდ იყო თუ არა მინდორზე რ. ატაულინი. არადა მაშინ „დინამოს“ ჰაერივით სჭირდებოდა გუნდისათვის თავდადებული ოსტატები.

რ. ატაულინი დაუდევრად ეკიდებოდა წვრთნას, ყოველდღიურ ვარჯიშებს, არ აღელვებდა თავისი გუნდის წარუმატებლობა, მისი ბედი. რა თქმა უნდა, იგი გუნდიდან გარიცხეს.

ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, მის ახალგაზრდობას დააბრალეს მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელებმა და რ. ატაულინს საშუალება მისცეს თავიანთ გუნდში ეცადა ძალა, მაგრამ „ექსპერიმენტმა“ უარყოფითი შედეგი მისცათ.

საკითხავია. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ ნაკრების მოთამაშეებსაც და „საშუალო“ ფეხბურთელებსაც ერთნაირი საპენსიო დახმარება უნდა მიეცეთ? ფეხბურთელებს უყვართ საკუთარი თავის შედარება ბალეტის მსახიობებთან. მაგრამ, მაგალითად, დიდ თეატრში, კორდებალეტის მსახიობი ყოველდღე მუშაობს „კლასში“, რეპეტიციაზე და თვის განმავლობაში დაახლოებით 15 სპექტაკლში მონაწილეობს. ამას წინათ „დიდი“ ბალეტის სოლისტ ირეკ მუჰამედოვს ვესაუბრე. პენსიაზე გასვლის შესახებ ლაპარაკი თხუთმეტი წლის შემდეგ დაიწყება, მაგრამ... ირეკი უკვე მზადაა, იცის რომ ეს დღეც დადგება და სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყება, ჩვეულებრივი პენსიონერისა კი არა, არამედ სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრება და მსახიობიც ამისთვის ემზადება. ფეხბურთელებს სწავლისთვის და შრომისთვის მეტი თუ არა, ნაკლები შესაძლებლობა არა აქვთ. ასე რომ, თავის მოსაწყლება და ოცდაათ წელს ოდნავ გადაცილებული ახალგაზრდა მამაკაცებისთვის პენსიის დანიშვნაზე ლაპარაკი, ჩემი აზრით, უხერხულია...

პროფესიონალი ფეხბურთელის მორალური კოდექსი... რა ცოტა ყურადღება ექცევა დღეს ამას. არადა ეს ეკონომიკურ საკითხებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. არ შეიძლება ისეთი მნიშვნელოვანი, საჭირბოროტო, მტკივნეული საკითხის განხილვისას, როგორიც ჩვენი ფეხბურთის ბედიღბალია, დავუშვათ გადახრა ან ერთ ან მეორე მხარეს...

**ა. ლევინსონი,**
**ხაკდესის კორესპონდენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში

## თამაშობენ ჩემპიონები

**კალათბურთელ** ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის მებრძოლი უძლიერესი ექვსეულის ერთ-ერთი წყვილის „ქალგირისისა" და „რეალის" მატჩის შედეგი უკვე გაუწყეთ. გაიმართა ამ ტურნირის სხვა მატჩებიც. იტალიის „ტრეისერმა" დაამარცხა საფრანგეთის „ორტეზი" — 84:75; იუგოსლავიის „ზადარი" ისრაელის „მაკაბისთან" დამარცხდა — 78:81.

ასპარეზობაში 5 ქულით (6 შეხვედრიდან) ლიდერობს „ტრეისერი", მას კვალში მიჰყვებიან „ორტეზი" — 4 (6), „მაკაბი" — 4 (7), „ზადარი" და „რეალი" — 2-2 ქულა (6 შეხვედრიდან). „ქალგირისს" 7 მატჩის შემდეგ 2 ქულა აქვს.

გაიმართა ქალთა ტურნირის დასკვნითი მეოთხედფინალური შეხვედრები ქვეჯგუფებში: იტალიის „პრიმიჯი" — იუგოსლავიის „პარტიზანი" — 97:72; ბულგარეთის „ლევსკი სპარტაკი" — გფრ-ის „აგონი" — 92:87; საფრანგეთის „სტად ფრანსე" — ჩეხოსლოვაკიის „სპარტა" — 69:60.

ნახევარფინალში დაწყვილდნენ: ნოვოსიბირსკის „დინამო" — „ლევსკი სპარტაკი", „პრიმიჯი" — „აგონი". ეს შეხვედრები 19 და 26 თებერვალს გაიმართება, ფინალურ მატჩს კი 12 მარტს საბერძნეთის ქალაქი სალონიკი უმასპინძლებს.

## ოლიმპიელის დლემოკლე „ტრასა"

**საფრანგეთში** „ბომბივით გასკდა" სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ცნობილი სამთომოთხილამურის ჟან-კლოდ კილის ზამთრის 1992 წლის ალბერვილეს თამაშების მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადადგომის ამბავი. საქმე ის გახლავთ, რომ სახელგანთქმულმა სპორტსმენმა, 17 დღის წინათ ჩაიბარა ეს პოსტი, მაგრამ მისთვის ეს დრო სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ყველა იმ სიძნელის შესაფასებლად, რასაც ოლიმპიადის ორგანიზატორები აწყდებიან.

კილიმ პრეს-კონფერენციაზე ოფიციალურად განაცხადა, რომ მის წამოწყებებს არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონია, რის გამოც ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მისი დარჩენა მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მომავალი ოლიმპიური შეჯიბრებების ადგილების დათვალიერების შემდეგ ზოგიერთ მოუმზადებელ ზამთრის კურორტს „ოლიმპიელის" სახელი ჩამოართვა. „განაწყენებულ" რაიონებში სასტუმროთა მეპატრონეების მასობრივი მანიფესტაციები გაიმართა (ისინი ხომ დაგეგმილ მოგებას კარგავენ...).

გაზეთმა „იუმანიტემ" ამ ფაქტს „თეთრი ოლიმპიადის წარუმატებელი სტარტი" უწოდა.

## ლოზანაც მიემატა

1994 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების პრეტენდენტ ქალაქებს: ანკორიჯს (აშშ), ლილეჰამერს (ნორვეგია), სოფიას და შვეციის ორესა და ესტერსუნდს (ისინი ერთად იბრძვიან), შეემატა შვეიცარიის ქალაქი ლოზანა.

### კომპოზიციის კუთხე

ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

#### ჩეხური სკოლა

საჭადრაკო კომპოზიციაში რამდენიმე საქვეყნოდ აღიარებული საამოცანო სკოლა არსებობს, თითოეულ მათგანს განვითარების საკუთარი ისტორიული გზა, მხატვრული პრინციპები, თეორია და მრავალი მიმდევარი ჰყავს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პოპულარულია ჩეხური სკოლა, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა. მისი ფუძემდებელი იყო პრაღელი მხატვარი ანტონინ კიონიგი (1836-1911). ჟურნალ „სვეტოზორში" საჭადრაკო განყოფილების ხელმძღვანელობის დროს მან თავის გარშემო თანამოაზრე ჩეხი პრობლემისტები შემოიკრიბა. მათ ამოცანაში დახვეწილი, ლამაზი საშამათო სურათები იზიდავდათ.

მაგრამ რა არის დახვეწილი შამათი, როგორი კრიტერიუმებით ფასდება იგი? ჯერ ერთი, საშამათო სურათის შექმნაში დაფაზე მყოფი ყველა თეთრი ფიგურა უნდა მონაწილეობდეს (ამ მხრივ გამონაკლისი დასაშვებია თეთრი მეფისა და პაიკებისათვის), ე. ი. შამათი **ეკონომიური** უნდა იყოს. მეორე, შავ მეფეს საშამათო ზონის ყოველი უჯრა მხოლოდ ერთი მიზეზით უნდა ჰქონდეს წართმეული, ე. ი. შამათი **სუფთა** უნდა იყოს. თუ ეკონომიურობის და სისუფთავის პრინციპი დაცულია, შამათი შთამბეჭდავია და სამაგალითო მნიშვნელობას იძენს. ასეთი ეტალონი-შამათის ცნება, რომელიც ჩეხურმა სკოლამ შეიმუშავა, საამოცანო ტერმინოლოგიაში სამოდელო შამათის (ModelI-matt) ანუ **სანიმუშო** შამათის სახელწოდებით არის ცნობილი. ამასთან, ჩეხებმა თავიანთი საამოცანო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ესთეტიკურ მოთხოვნად ამოხსნაში არანაკლებ სამი სანიმუშო შამათის არსებობა წამოაყენეს.

ი. დობრუსკი, 1885



შამათი 3 სვლაში

ვ. პახმანი



შამათი 4 სვლაში

1. კd8! კe2 2. ეa5+ (მუქარა) მფb6 3. მc4×-ლამაზი სანიმუშო (ეკონომიური და სუფთა) შამათი მხედრით და დაბმული შავი ეტლით. 1... მფb5 2. ლc6+! ე:c6 3. ეa5×-ისევ სანიმუშო, თუმცა განსხვავებული შამათი ეტლით. 1. ...მფd4 2. კf6+ მფc5 3. ლh5× ახალი შამათი ლაზიერის დამაგვირგვინებელი სვლით. ისიც სანიმუშოა, რადგან მეექვსე ხაზის სამ უჯრას მხოლოდ ეტლი აკონტროლებს, მეხუთე ხაზის უჯრებს — ლაზიერი, c4 უჯრას მხედარი ართმევს, d4 უჯრას — კუ, ხოლო b4 უჯრა შავი პაიკით არის ბლოკირებული. საუკუნეზე მეტი ხნის წინ შექმნილი კლასიკური ნაწარმოებია!

ჩეხური სტილის ამოცანებისათვის მეტად დამახასიათებელია **ექოშამათები** (ე. ი. სხვა უჯრებზე განლაგებული, მაგრამ ანალოგიური სურათის მქონე). შევნიშნავთ, რომ თუ ექო-შამათები საპირისპირო ფერის უჯრებზე ხორციელდება, მათ **ქამელეონური** შამათები ეწოდებათ.

მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ ჩეხური საამოცანო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო დიდოსტატის ვლადიმირ პახმანის (1918-1984) მინიატურას, რომელშიც ზემოთ განხილული შამათებია განხორციელებული.

ველით თქვენს ამოხსნებს კომენტარებით.

#### ამოხსნა

„ლელოს" 18 იანვრის ნომერში დაბეჭდილი ვ. სერედას სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ლb5! 1. ...მg3 2. ლb1, 1. ...მf4 (კe3) 2. ლf1.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც სხვებზე ადრე გამოაგზავნა ამოხსნა: ა. მელქაძე (ქუთაისი), ი. ცინცაბაძე (სუფსა), მ. კურტანიძე (ხარაგაული), ლია და ეკა კანდელაკიშვილები (ძველი ანაგა), ზ. შურღაია (ნოჯიხევი), თ. დიასამიძე (ბათუმი), რ. ხარბედია (ზუგდიდი), მ. ჯღარკავა, ტ. გიგუაშვილი, ა. ნოზაძე (ყველა — თბილისი).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



**საკონკურსო გამოცდების ჩატარების შემდეგ ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში გამოთავისუფლებულ ადგილებზე მისაღებად მიმართვების გაცემა სამედიცინო დასკვნისათვის იწარმოებს 9 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით. ჯგუფებში მიიღებიან 6-12 წლის ბავშვები.**

დამატებითი ცნობების მისაღებად დარეკეთ 99-81-79, 99-80-19. ჩვენი მისამართია: ლენინის ქუჩა, პირველი შესახვევი № 34. ცენტრალური საწყლოსნო კომპლექსი.

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:**

1. ბიომექანიკის და სპორტული მეტროლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი—ერთი საშტატო ერთეული, სპორტული მეტროლოგიის სპეციალობით;
2. ფეხბურთის, ჩოგბურთის და ხელბურთის კათედრის უფროსი მასწავლებელი — ერთი ერთეული, ფეხბურთის სპეციალობით;
3. სათხილამურო სპორტის, ალპინიზმის, ტურიზმის კათედრის მასწავლებელი — ერთი ერთეული, ტურიზმის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დამატებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში, ყოველდღე, 9 სთ. და 30 წუთიდან — 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი 380062, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49, ტელეფონები: 22-31-60, 23-09-02.

„ოქროს ბურთის" ლაურეატები

## „პატარა ბულდოზერის" დიდი გოლები

**ფეხბურთის** ისტორიას არაერთი შედეგიანი მოთამაშე ახსოვს, მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, როცა ლაპარაკია ბომბარდირებზე, უპირველეს ყოვლისა „ოქროს ბურთის" 1970 წლის ლაურეატის, დასავლეთგერმანელი გერდ მიულერის სახელი გვახსენდება. გერდ მიულერი მართლაც შეუდარებელი ცენტრალური თავდამსხმელი იყო. მას ჰქონდა არა მარტო, რომ იტყვიან, საგოლე მომენტების გამოცნობის ალღო, არამედ ამ მომენტების რეალიზების შესაშური უნარიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბუნდესლიგაში მიულერმა 300-ზე მეტი გოლი გაიტანა, ეროვნულ ნაკრებში კი 62 მატჩში (1966-1974) 68-ჯერ აილო მეტოქეთა კარი. ე. ი. საშუალოდ ერთ მატჩში ერთ გოლზე მეტი გაჰქონდა! ეროვნულ გუნდში გერდ მიულერის უკანასკნელმა გოლმა გფრ-ის ნაკრებს 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

ფეხბურთის თამაში მომავალმა სუპერბომბარდირმა მშობლიურ სოფელ ცენსენში დაიწყო, სადაც... არც ფეხბურთის მოედანი არსებობდა და არც გუნდი. მიულერი სწორედ იმ ოღრო-ჩოღრო მინდვრებზე თანატოლებთან ერთად ჩატარებულ ურეგლამენტო „მატჩებს" უმადლის იმას, რომ კარგად გრძნობდა ბურთს და გამოიმუშავა რაღაც განსაკუთრებული ინსტინქტი, ყოველივე ამან კი, საბოლოო ანგარიშით, როგორც თვითონ ამბობს, გოლის გატანის არაჩვეულებრივი უნარი ჩამოუყალიბა.

გერდ მიულერი 15 წლისა იყო (დაიბადა 1945 წლის 3 ნოემბერს), როცა ქალაქ ნორდლინგენის ამავე სახელწოდების საფეხბურთო კლუბში მიიწვიეს. „ტსვ 1860 ნორდლინგენში" თავისი შედეგიანი თამაშით ახალგაზრდა ფეხბურთელმა ბუნდესლიგის გუნდების „ნიურნბერგისა" და მიუნჰენის „ბაიერნის" ხელმძღვანელთა ყურადღება მიიქცია. მიუნჰენელები უფრო მონდომებულნი აღმოჩნდნენ და ახალგაზრდა ბომბარდირიც მათ კლუბში ჩაირიცხა. 1964 წელს მიუ-



ლერმა გააფორმა კონტრაქტი „ბაიერნთან". ამ ხელშეკრულების თანახმად მას თვეში 400 მარკა უნდა მიეღო.

საინტერესოა ისიც, რომ „ბაიერნში" მიულერი კლუბის მაშინდელი მწვრთნელის, ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტის ზლატკო ჩაიკოვსკის სურვილის წინააღმდეგ, კლუბის პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნით აღმოჩნდა. განაწყენებულმა ჩაიკოვსკიმ განაცხადა: „მე მჭირდებოდა ელეგანტური, მაღალი და სწრაფი მოთამაშე და არა ჯანიანი ათლეტი. განა შესაძლებელია ასეთი ტომრისაგან ფეხბურთელის გაკეთება?" ჩაიკოვსკის უკმაყოფილება ერთი მხრივ გასაგები იყო: მიულერამდე რამდენიმე კვირით ადრე „ბაიერნში" სწორედ ისეთი ახალგაზრდა ჩაირიცხა, როგორიც მწვრთნელს უნდოდა. ის ახალგაზრდა ფრანც ბეკენბაუერი იყო. გამოცდილ სპეციალისტს იმდენად მოეწონა ბეკენბაუერი, რომ ფაავიწყდა: ასეთი ფეხბურთელები ერთეულები არიან.

მიუხედავად ყველაფრისა, გერდ მიულერმა თავისი თამაშით სულ მალე დაიმსახურა მწვრთნელის სიმპათია, საყოველთაო აღიარება და ხელფასის მომატებაც. მალე იგი ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმაც მიიწვია თავის გუნდში. გერდ მიულერი გულშემატკივართა საყვარელ მოთამაშედ იქცა. ცოტა ხანში მას მეტსახელიც შეარქვეს — „პატარა ბულდოზერი" (მიულერის სიმაღლეა 175 სმ).

ფეხბურთის საბჭოთა მოყვარულებს ბევრჯერ უნახავთ გერდ მიულერის თამაში და დამეთანხმებიან, რომ იგი ყოველთვის დიდ ეფექტს ახდენდა მინდორზე. მას, როგორც წესი, ორი ან სამი მცველი მეთვალყურეობდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა შესაფერისი მომენტი ეპოვა და ბურთი კარში დაერტყა. აღსანიშნავია, რომ გერდ მიულერი იშვიათად ურტყამდა პენალტებს. ამას იგი ასე ხსნიდა: „მე ვარჯიშის შემდეგ კარგა ხანს ვრჩები მინდორზე რომელიმე თანაგუნდელთან ერთად და ვვარჯიშობ მისი პასების შემდეგ 6-8 მეტრიდან სხვადასხვა მდგომარეობიდან კარში დარტყმაში. ამით მივეჩვიე მოძრავი ბურთის დარტყმას და გაჩერებული ბურთი შეიძლება ზუსტად ვერც გავგზავნო მიზანში".

ბუნებრივია, მიულერი პენალტების დარტყმას რომ არ მორიდებოდა, მისი შედეგები უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა.

კარიერის ბოლოს, როცა მიულერი უკვე აშშ-ის კლუბებში გამოდიოდა, ჰკითხეს, აპირებთ თუ არა მწვრთნელად მუშაობასო. პასუხი კატეგორიული იყო — არა! მიულერმა სიტყვას არ უღალატა, იგი საბოლოოდ ჩამოშორდა ფეხბურთს.

**ზურაბ ფოცხვერია.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06752